თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიტებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 14 იანვარი 2026 წელი – 31 დეკემბერი 2026 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი - თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ, ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არანაკლებ 100 (ასი) ლარისა და არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გასცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე